WORLD BANK GROUP

ENTERPRISE SURVEYS

WHAT BUSINESSES EXPERIENCE

საქართველო 2023
ქვეყნის პროფილი



ENTERPRISE SURVEYS

ENTERPRISE SURVEYS

შინაარსი

შესავალი 3

ფირმის მახასიათებლები 4

მუშახელი 5

ფირმის საქმიანობის ეფექტურობა 5

ფიზიკური ინფრასტრუქტურა 6

საერთაშორისო ვაჭრობა 6

წვდომა ფინანსებზე 7

მართვის პრაქტიკები 8

არაფორმალურობა 8

რეგულაციები, ნებართვები და გადასახადები 8

კორუფცია 9

ბიზნეს გარემოს დაბრკოლებები 9

დანართი 11

ქვეყნების პროფილები, რომელიც დამუშავებულია მსოფლიო ბანკის ჯგუფის საწარმოთა ანალიზის განყოფილების მიერ, წარმოადგენს ბიზნეს გარემოს საკვანძო ინდიკატორებს ყოველი ქვეყნისათვის, რომელიც შედარებულია თავის შესაფერის რეგიონსა და მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყნებს. ყველა ქვეყანაში განხილულია ერთი და იგივე თემები ინდიკატორების მცირედი ცვლილებებით. ყველა ინდიკატორი ეფუძნება ფირმის პასუხებს. უფრო მეტი რომ გაიგოთ საწარმოთა ანალიზის განყოფილების შესახებ და იხილოთ სხვა ქვეყნების პროფილები, გთხოვთ, ეწვიეთ ვებ–გვერდს: www.enterprisesurveys.org.

© 2023 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი/მსოფლიო ბანკის ჯგუფი

1818 H street, NW
ვაშინგტონი, DC 20433
ტელ: 202-473-1000
ვებ-გვერდი: www.worldbank.org

ქვეყნის პროფილი წარმოადგენს ერთობლივ პროდუქტს, რომლის შექმნაშიც ჩართულნი იყვნენ მსოფლიო ბანკის ჯგუფის თანამშრომლები გარე რესურსების გამოყენებით. ამ დოკუმენტში მოცემული მიგნებები, ინტერპრეტაციები და დასკვნები არ ასახავს მსოფლიო ბანკის ჯგუფის, მისი დირექტორთა საბჭოს ან იმ ქვეყნების მთავრობების აზრს, რომელთაც ისინი წარმოადგენენ. მსოფლიო ბანკის ჯგუფი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტში მოცემული მონაცემების სიზუსტეზე. ნებისმიერი საზღვარი, ფერი, დენომინაცია თუ სხვა ინფორმაცია, რომელიც ამ დოკუმენტის რუქებზეა მოცემული არ წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ჯგუფის შეხედულებებს ამგვარი საზღვრების სამართლებრივ სტატუსთან ან მის მიღებასთან მიმართებით.

უფლებები და ნებართვები

ამ დოკუმენტში მოცემული მასალა ექვემდებარება საავტორო უფლებებს. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფი მხარს უჭერს საკუთარი ცოდნის გავრცელებას, შესაძლებელია ამ სამუშაოს მთლიანად ან ნაწილობრივ ხელახალი წარმოება, არაკომერციული მიზნებისათვის, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სამუშაოს შექმნისთვის გაწეული წვლილი სრულად იქნება აღიარებული.

ნებისმიერი შეკითხვით უფლებებსა და ლიცენზიებზე, მათ შორის დამატებითი/მეორეხარისხოვანი უფლებების შესახებ, უნდა მიმართოთ მსოფლიო ბანკის პუბლიკაციებს, მსოფლიო ბანკი, 1818 H Street NW, ვაშინგტონი, DC 20433, აშშ; ფაქსი: 202-522-2625; ელფოსტა: pubrights@worldbank.org.

საწარმოთა ანალიზის განყოფილებასთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:
მსოფლიო ბანკის ჯგუფი
2121 პენსილვანიის გამზირი, NW
ვაშინგტონი, 20433 აშშ
ტელეფონი: (202) 479-3800

ეკონომიკური მიმოხილვა
საქართველო 2023

რეგიონი:	ევროპა & ცენტრალური აზია
შემოსავლის ჯგუფი:	ზედა საშუალო შემოსავალი

შესავალი

საწარმოების კვლევა ფოკუსირებულია ბიზნეს გარემოს მრავალ ასპექტზე. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს ფირმებისთვის ხელშემწყობი ან შემაფერხებელი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის კერძო სექტორის აყვავებაში თუ პირიქით. ხელმშემწყობი ბიზნეს გარემო არის ის, რაც ხელს უწყობს ფირმებს ეფექტურ ფუნქციონირებაში. ასეთი პირობები აძლიერებს ფირმების მოტივაციას ინოვაციებისა და პროდუქტიულობის გასაზრდელად, რაც წარმოადგენს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორებს. უფრო პროდუქტიული კერძო სექტორი, თავის მხრივ, აფართოებს დასაქმების შესაძლებლობებს და ხელს უწყობს გადასახადებს, რომლებიც აუცილებელია ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სერვისებში სახელმწიფო ინვესტიციებისთვის. საწარმოების კვლევაში მოცემული კითხვები მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული თემების უმეტესობის დაფარვას. თემები მოიცავს ინფრასტრუქტურას, ვაჭრობას, ფინანსებს, რეგულაციებს, გადასახადებს და ბიზნესის ლიცენზირებას, კორუფციას, მენეჯმენტის პრაქტიკას და არაფორმალურობას, ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, ინოვაციებს, სამუშაოს და დაბრკოლებების შესახებ მოსაზრებებს ბიზნესის კეთების პროცესში.

საწარმოების კვლევას ატარებს მსოფლიო ბანკი და მისი პარტნიორები ყველა გეოგრაფიულ რეგიონში და მოიცავს მცირე, საშუალო და დიდ ფირმებს. ფირმის ზომა განისაზღვრება დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით: 5-დან 19-მდე (პატარა), 20-დან 99-მდე (საშუალო) და 100 ან მეტი (დიდი). ფირმები, რომლებსაც ჰყავთ ხუთზე ნაკლები თანამშრომელი, არ მონაწილეობენ კვლევაში. ასევე დაუშვებელია ფირმები, რომლებიც 100%-ით სახელმწიფოს საკუთრებაშია.

კვლევების ადმინისტრირება ხორციელდება ფირმების რეპრეზენტატული შერჩევით არასასოფლო-მეურნეობის, ფორმალური და კერძო ეკონომიკის სფეროებში. შერჩევა ყველა ქვეყანაში ტარდება ერთნაირი პრინციპით და მოიცავს მთლიანად წარმოების სექტორს და მომსახურების სექტორის უმეტეს ნაწილს: საცალო ვაჭრობა, საბითუმო ვაჭრობა, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურება, სასტუმრო და რესტორნები, ტრანსპორტირება, საწყობი, კომუნიკაციები, მშენებლობა და საინფორმაციო ტექნოლოგიები. კომუნალური კომპანიები, სამთავრობო სერვისები, ჯანდაცვა და ფინანსური სერვისები არ შედის შერჩევაში (გრაფიკი 1). საწარმოების კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ტარდება ტოპ-მენეჯერებთან და ბიზნესის მფლობელებთან.

საწარმოების კვლევა კონკრეტული ქვეყნისთვის ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მეორდება. ბიზნეს გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე თვალყურის მიდევნებით, პოლიტიკის შემქმნელებსა და მკვლევარებს შესაძლებლობა აქვთ დააკვირდნენ პოლიტიკისა და მარეგულირებელი რეფორმების გავლენას ფირმის საქმიანობაზე. განმეორებითი კვლევები ხელს უწყობს ბიზნეს გარემოს ევოლუციის შესწავლას და დაკვირვებას იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ის კერძო სექტორის დინამიკაზე.

ეს დოკუმენტი აჯამებს საწარმოთა კვლევის შედეგებს საქართველოს შემთხვევაში. 2023 წლის აპრილიდან 2023 წლის სექტემბრამდე გამოიკითხა 592 ბიზნესის მფლობელი და ტოპ მენეჯერი. სურათი 2 ასახავს შერჩევის დაყოფის აღწერას კვლევის დიზაინის სამ კატეგორიაში: ბიზნეს სექტორი, ფირმის ზომა და მდებარეობა.

გრაფიკი 1: ეკონომიკის სექტორები, რომელთაც მოიცავს საწარმოების კვლევა

გამოტოვებულია	შეტანილია
სექტორები სოფლის მეურნეობა თევზჭერა წიაღის მოპოვება საზოგადოებრივი მომსახურებები ფინანსური შუამავლები საჯარო ადმინისტრაცია განათლება, ჯანდაცვა და სოციალური სამუშაო	სექტორები მწარმოებლები (ყველა ქვესექტორი) მშენებლობა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვა და შეკეთება საბითუმო საცალო სასტუმროები და რესტორნები საწყობი, ტრანსპორტი და კომუნიკაცია საინფორმაციო ტექნოლოგიები
დამატებითი კრიტერიუმები • <5 თანამშრომელი • არაფორმალური ფირმები • 100%-თ სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი ფირმები	დამატებითი კრიტერიუმები • 5+ თანამშრომლები • ფორმალური (რეგისტრირებული) ფირმები • მინიმუმ 1%-იანი კერძო წილით

გრაფიკი 2: შესწავლილი ფირმების მახასიათებლები

სექტორი



ზომა



ლოკაცია

ფირმის მახასიათებლები

გარდა იმისა, რომ კვლევაში შეგროვდა ინფორმაცია ბიზნეს გარემოს და ფირმების საქმიანობის ეფექტურობის შესახებ, საწარმოების კვლევაში ასევე შეიკრიბა მონაცემები კერძო ფირმების მახასიათებლების შესახებ. გრაფიკზე 3 ნაჩვენებია ფირმების გადანაწილება კერძო სექტორში მათი ასაკის მიხედვით, რომელიც შეფასებულია მათი საქმიანობაში ყოფნის წლების მიხედვით. ფირმის საქმიანობაზე ბიზნეს გარემოს გავლენა შეიძლება დამოკიდებულებული იყოს ფირმის გამოცდილებასა და ოპერირების ხანგრძლივობაზე. ამასთან, ახალი და ძველი ფირმები განსხვავდებიან მათი უნარით წარმატებით იფუნქციონირონ ბიზნეს გარემოში.

გრაფიკი 3: ფირმების გადანაწილება ასაკის მიხედვით



გრაფიკში 4 წარმოდგენილია დასაქმებაში, მენეჯერულ პოზიციებზე და ფირმის მფლობელობაში ქალთა ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი; შედარებულია რეგიონში ექვივალენტურ მაჩვენებლებთან და ასევე, მსგავსი შემოსავლების მქონე ქვეყნების მაჩვენებლებთან. ქალთა ჩართულობა ეკონომიკურ აქტივობაში აუცილებელია საერთო კეთილდღეობის ხელშესაწყობად, რაც მსოფლიო ბანკის ჯგუფის ერთ-ერთი განვითარების მიზანია.

გრაფიკი 4: ქალთა ჩართულობა დასაქმებაში, მენეჯერულ პოზიციებზე და მფლობელობაში



მუშახელი

საწარმოების კვლევა აგროვებს ინფორმაციას მუშახელის შესახებ, მაგ: სრულგანაკვეთიანი მუდმივი თანამშრომლების რაოდენობა; თანამშრომელთა ჩაშლა სქესის, გავლილი ტრენინგების და ტოპ მენეჯერული გამოცდილების მიხედვით. ამასთან, საწარმო ფირმებისთვის, საწარმოების კვლევა აკეთებს ჩაშლას წარმოებით და არაწარმოებით საქმიანობაში დასაქმებული მუშახელის მიხედვით და კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშახელის მიხედვით. გრაფიკები 5 და 6 ყურადღებას ამახვილებს თანამშრომელთა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისთვის ფირმების მიერ გაკეთებულ ინვესტიციაზე.

გრაფიკი 5: ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც სთავაზობენ ფორმალურ ტრენინგს



ტრენინგის ჩატარების შემთხვევა იზომება იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებლით, რომლებიც სთავაზობენ ფორმალურ ტრენინგს და ტრენინგის ინტენსივობა იზომება იმ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებლით, რომლებიც ტრენინგს იღებენ საწარმოო სექტორში.

გრაფიკი 6: ტრენინგის შემთავაზებელ ფირმებში, მომზადებული თანამშრომლების წილი*



** მხოლოდ საწარმო ფირმებისთვის*

ფირმის საქმიანობის ეფექტურობა

თუ ქვეყნის ბიზნეს გარემო არის კონკურენტული და მხარდაჭერაზე ორიენტირებული, რესურსები ხშირად ნაწილდება ყველაზე პროდუქტიულ მოხმარებაზე და ფირმები ინვესტიციებს აკეთებენ საკუთარი პროდუქტიულობის კიდევ უფრო გაზრდაზე. ზრდის მაჩვენებლები შეიძლება გამოითვალოს თითოეული ფირმისათვის, თუ გამოვიყენებთ პასუხებს კითხვებზე, რომელიც ეხება წლიურ გაყიდვებსა და მუდმივ, სრულგანაკვეთიან თანამშრომლებს (როგორც ბოლო ფისკალურ წელს, ისე სამი წლით ადრე). გრაფიკზე 7 ნაჩვენებია შედეგად მიღებული წლიური ზრდის მაჩვენებელი დასაქმებისა და რეალური გაყიდვების სფეროში. ბიზნეს გარემოსა და საქმიანობის ეფექტურობის ხელმისაწვდომი მაჩვენებლების ერთდროულად მხედველობაში მიღებით, პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ ბიზნეს გარემოს რომელი ასპექტი ახდენს გავლენას კერძო სექტორის ზრდაზე ან ზრდის შეფერხებაზე.

გრაფიკი 7: წლიური დასაქმება და გაყიდვების ზრდა



ფიზიკური ინფრასტრუქტურა

კარგად განვითარებული ფიზიკური ინფრასტრუქტურა, გზების, ელექტრო ხაზების, წყლისა და ტელეკომუნიკაციების ჩათვლით ძალიან მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფის კუთხით. ხარისხიანი ინფრასტრუქტურა ფირმებს აკავშირებს ნედლეულის, მასალების, პროდუქტებისა და ტექნოლოგიების ბაზრებთან. იგი ამცირებს წარმოების ხარჯებს და ზრდის ფირმის კონკურენტუნარიანობას ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე.

საწარმოების კვლევები გვაჩვენებს გამოწვევას ერთი მხრივ ელექტროენერგიის, წყლის მიწოდების და სატელეფონო კავშირებისთვის მდგრადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, იმ ინსტიტუტების განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მხრივ, რომლებიც ეფექტურად აწვდიან და ინარჩუნებენ საზოგადოებრივ სერვისებს.

კერძო სექტორის ოპერირების ეფექტიანობა მოითხოვს ელექტროენერგიის სანდო მიწოდებას. გრაფიკზე 8 ნაჩვენებია, თუ რა პრობლემები აქვთ ფირმებს ელექტროენერგიის მიწოდების კუთხით, რომელიც იზომება ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევების პროცენტული და რაოდენობრივი მაჩვენებლით. ელექტროენერგიის არაადეკვატურმა მიწოდებამ შეიძლება გაზარდოს ხარჯები, შეაფერხოს წარმოება და შეამციროს მომგებიანობა.

გრაფიკი 8: ელექტროენერგიის მომარაგების სანდოობა და სხვა დანაკარგები



გრაფიკზე 9 რაოდენობრივად ნაჩვენებია ინფრასტრუქტურის სერვისების ეფექტიანობა ელექტრო კავშირის მოპოვებისთვის საჭირო დღეების გამოთვლით. სერვისის დაგვიანება დამატებით ხარჯებს აკისრებს ფირმებს და შეიძლება იყოს ერთგვარი ბარიერი ბაზარზე შესვლისა და ინვესტიციების კუთხით.

გრაფიკი 9: ელექტრო კავშირის მოპოვებისთვის საჭირო დღეების რაოდენობა



წარმოების სექტორის ბევრი დარგისთვის, წყალი არის ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი მთელი წარმოების პროცესში. გრაფიკზე 10 ნაჩვენებია საშუალოდ რამდენჯერ განიცდიან წარმოების სექტორში მოღვაწე ფირმები წყალმომარაგების უკმარისობის შემთხვევებს ერთ ტიპურ თვეში. წყალმომარაგების შეფერხებამ შეიძლება საკმაოდ სერიოზული ზიანი მიაყენოს ფორმების ოპერაციებს.

გრაფიკი 10: წყალმომარაგების სანდოობა*



** მხოლოდ საწარმო ფირმებისთვის*

საერთაშორისო ვაჭრობა

საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა შესაძლებლობას აძლევს ფირმებს გაფართოვდნენ, გაზარდონ ექსპორტიორების ეფექტიანობის სტანდარტები, შესაძლებლობა მიეცეთ შემოიტანონ საქონელი დაბალი დანახარჯით და შეიძინონ უახლესი ტექნოლოგიები. თუმცა, ვაჭრობა ასევე ავალდებულებს ფირმებს შეხება ჰქონდეთ საბაჟო სამსახურებთან და სავაჭრო რეგულაციებთან და ხშირად ფირმებს უწევთ იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზიების მოპოვება.

საწარმოების კვლევა რაოდენობრივად წარმოადგენს ფირმების სავაჭრო აქტივობას და აგროვებს ინფორმაციას იმ ოპერაციულ დაბრკოლებებზე, რომელსაც განიცდიან ექსპორტიორები და იმპორტიორები. გრაფიკი 11 წარმოგვიდგენს კერძო სექტორში საგარეო ვაჭრობის ინტენსივობის საზომს, წარმოდგენილი იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებლით, რომლებსაც

თავიანთი წლიური გაყიდვების მინიმუმ 10% გააქვს პირდაპირ ექსპორტზე. გრაფიკზე 11 ასევე ნაჩვენებია იმ საწარმო ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც უცხოურ ნედლეულს ან მარაგებს იყენებენ.

გრაფიკი 11: ექსპორტიორი და იმპორტიორი ფირმების პროცენტული მაჩვენებელი



** მხოლოდ საწარმო ფირმებისთვის*

ეფექტიანი საბაჟო პროცედურები ფირმებს საშუალებას აძლევს პირდაპირ შემოიტანონ ან გაიტანონ საქონელი. გრაფიკზე 12 ნაჩვენებია დღეების საშუალო რაოდენობა, რაც საჭიროა ექსპორტის ან იმპორტის საბაჟო პროცედურებისთვის. ექსპორტზე ან იმპორტზე ტვირთის განბაჟების დაგვიანება დამატებით ხარჯებს აკისრებს ფირმას, აფერხებს წარმოებას, გაყიდვებს და შეიძლება შედეგად დაზიანებული პროდუქცია, მარაგები მივიღოთ.

გრაფიკი 12: დღეების საშუალო რაოდენობა იმპორტირებული თუ ექსპორტირებული საქონლის საბაჟო პროცედურების დასრულებისთვის



წვდომა ფინანსებზე

განვითარებული ფინანსური ბაზრები უზრუნველყოფენ გადახდის სერვისებს, მობილიზებას უკეთებენ დეპოზიტებს და ამარტივებენ დაფინანსების მოპოვებას უძრავი ქონების შესაძენად, როგორიცაა მაგ. შენობები, მიწა, მანქანა-დანადგარები და ტექნიკა, ასევე მუშახელი. ეფექტიანი ფინანსური ბაზარი ამცირებს დამოკიდებულებას შიდა ფონდებზე და არაფორმალური წყაროებიდან მოწოდებულ რესურსებზე, როგორიცაა ოჯახი და მეგობრები, აკავშირებს რა სანდრო ფირმებს ინვესტორებისა და სესხის გამცემთა ფართო სპექტრთან.

საწარმოების კვლევა წარმოგვიდგენს ინდიკატორებს ფირმების ფინანსებზე და მათი ფინანსური ტრანზაქციების მახასიათებლებზე. გრაფიკი 13 ადარებს უძრავი ქონების შესყიდვის დაფინანსების სხვადასხვა წყაროების გამოყენებას (ინვესტიციები). საინვესტიციო შენაძენები შეიძლება დაფინანსდეს შიდა წყაროებიდან, ბანკებიდან, ნედლეულის მომწოდებლის მიერ გაცემული კრედიტით ან სხვა წყაროებიდან, მათ შორის, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებიდან ან პირადი ქსელიდან. ზედმეტი დამოკიდებულება შიდა ფონდებზე შეიძლება მიუთითებდეს პოტენციურად არასაკმარის ფინანსურ შუამავლობაზე.

გრაფიკი 14 გვიჩვენებს კერძო ფირმების მიერ ფინანსური სერვისების გამოყენების ორ ინდიკატორს: ფირმები, რომელთაც მიმდინარე ან შემნახველი ანგარიში აქვთ და ფირმები, რომელთაც ბანკის სესხი აქვთ. პირველი ინდიკატორი ზომავს დეპოზიტის მობილიზაციის სერვისების გამოყენებას, რაც ფირმებს ეხმარება მართონ საკუთარი ლიკვიდურობა და გადახდები. მეორე ინდიკატორი ზომავს ფინანსური სერვისების გამოყენებას კრედიტის შემთხვევაში. კრედიტის მიღების ხელმისაწვდომობა პროექტების დაფინანსებას ხდის შესაძლებელს, რაც სხვა შემთხვევაში შეიზღუდებოდა თითოეული ფირმის ლიმიტირებული თანხებით.

გრაფიკი 13: უძრავი ქონების შესაძენად საჭირო დაფინანსების წყაროები



გრაფიკი 14: ფინანსური სერვისების გამოყენება



მართვის პრაქტიკები

დადასტურებულია, რომ მართვის ჯანსაღი პრაქტიკა არის ფირმების პროდუქტიულობისა და მათი მთლიანი მუშაობის ძირითადი ელემენტი. საწარმოების კვლევის ინდიკატორები მართვის პრაქტიკების შესახებ მოიცავს რვა მნიშვნელოვან ასპექტს, იქნება ეს გრძელვადიანი ქმედებები, რათა გამოსწორდეს და თავიდან იქნას აცილებული პრობლემები წარმოებაში ან სერვისის მიწოდებაში; წარმოების ან მომსახურების მიწოდების მიზნების რაოდენობა, დროის კომპონენტი და სხვა მახასიათებლები; ბონუსების ან დაწინაურების მექანიზმების გამოყენება უკეთესი შესრულების წახალისებისთვის და ქმედებები საქმიანობის არასათანადო ხარისხის შეზღუდვის მიზნით.

გრაფიკი 15 ასახავს მართვის პრაქტიკების კომპოზიტის ინდექსს, რომელიც აერთიანებს ინფორმაციას რვავე კომპონენტისგან, თითოეული ასევე ხელმისაწვდომია დანართში როგორც ცალკე საწარმოების კვლევის ინდიკატორი. რვა ინდივიდუალური კომპონენტი და ეს კომპოზიტის ინდექსი სასარგებლოა ქვეყნის სხვა ქვეყნებთან ან შესადარებელ ჯგუფებთან შედარებისას. მართვის პრაქტიკების კომპოზიტის ინდექსი მერყეობს 0-დან 100-მდე, 100 აღნიშნავს იდეალურ, ყველაზე კარგად სტრუქტურირებულ მართვის პრაქტიკას, რომლის დროსაც რვავე ქვეკომპონენტი ყველაზე ეფექტურად იმართება. საწარმოების კვლევის ინდიკატორები მართვის პრაქტიკის შესახებ გამოითვლება ფირმებისთვის, რომლებსაც ჰყავთ მინიმუმ 20 თანამშრომელი.

გრაფიკი 15: მართვის პრაქტიკების ინდექსი



არაფორმალურობა

როცა ფირმა ფორმალურად რეგისტრირდება, მას მოეთხოვება დაიცვას წესები და რეგულაციები, რომელთაც ჩვეულებრივ მთავრობა განსაზღვრავს. გადასახადების გადახდა არის ფორმალური კერძო სექტორის ნაწილად გახდომის ყველაზე ხელშესახები შედეგი. ზოგიერთი ფირმა ცდილობს ამგვარი შედეგები თავიდან აირიდოს იმით, რომ ფირმას არ არეგისტრირებს და აქედან გამომდინარე, რჩება არაფორმალურ სექტორში. დიდი არაფორმალური სექტორი შეიძლება წარმოადგენდეს გამოწვევას კონკურენტული ფორმალური ფირმებისთვის, რადგან არაფორმალურ ფირმებს ისეთ პრაქტიკაში ჩართვის შესაძლებლობა აქვთ, რაც არასამართლიან უპირატესობაში აყენებს მათ ფორმალურ ფირმებთან მიმართებით, რადგან ფორმალური ფირმა ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესები და რეგულაციები.

გრაფიკი 16 გვიჩვენებს კერძო სექტორში არაფორმალურობის შემთხვევების ორ საზომს. პირველი ინდიკატორი არის იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათ არარეგისტრირებულ თუ არაფორმალურ ფირმებთან კონკურენცია უწევთ. მეორე ინდიკატორია დღესდღეობით რეგისტრირებული ფირმები, რომელთაც ოპერაციები დაიწყეს ფორმალური რეგისტრაციით.

გრაფიკი 16: ფირმები და არაფორმალურობა



რეგულაციები, ნებართვები და გადასახადები

კარგი ეკონომიკური მმართველობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა რეგულაციები, ბიზნესის ლიცენზიები და გადასახადები არის სასურველი ბიზნეს გარემოს ფუნდამენტური ღერძი. რეგისტრირებული ფირმები იხდიან გადასახადებს და ევალებათ რეგულაციების დაცვა.

გრაფიკი 17: დროის გადასახადი და შეხვედრები საგადასახადოს თანამშრომლებთან



ნებართვები და ლიცენზიები ჩვეულებრივ მოითხოვება ბიზნესების ოპერირებისათვის, ახალი სტრუქტურის ასაშენებლად და პირდაპირი იმპორტისათვის (სხვა აქტივობებთან ერთად). იდეალურ შემთხვევაში, ეს რეგულაციები და ნებართვები იცავენ უბრალოდ

საზოგადოების ინტერესს, ინარჩუნებენ გამჭვირვალობასა და ზედმეტი წნეხის ქვეშ არ აქცევენ კერძო სექტორს.

საწარმოების კვლევა უზრუნველყოფს რეგულაციების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, როგორიცაა ბიზნესის ლიცენზირება და გადასახადები. გრაფიკი 17 გვიჩვენებს ,,დროის გადასახადს" რომელსაც რეგულაციები აკისრებენ და რომელიც გულისხმობს ხელმძღვანელობის მხრიდან რეგულაციების დაცვაზე დახარჯულ დროს. გრაფიკზე ასევე ნაჩვენებია იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც საგადასახადოს თანამშრომლები ესტუმრნენ და შეხვედრა მოსთხოვეს.

გრაფიკი 18 აქცენტს აკეთებს ბიზნესის ლიცენზირებისა და ნებართვების სერვისების ეფექტიანობაზე. ინდიკატორებით იზომება დრო, რომელიც საჭიროა იმპორტის ლიცენზიის, მშენებლობის ნებართვის ან საოპერაციო ლიცენზიის მოსაპოვებლად. ლიცენზიის მოპოვების დაგვიანება მეწარმისათვის შესაძლებელია დამატებით ხარჯებთან იყოს ასოცირებული, რადგან ისინი ყველაზე საჭირო ბიზნეს ტრანზაქციებს დამატებით გაურკვევლობასა და ხარჯებს სძენს.

გრაფიკი 18: ნებართვების მოსაპოვებლად საჭირო დღეების რაოდენობა



რეგულაციების დაცვა ხარჯებთან არის დაკავშირებული. გადაჭარბებული ან პირიქით არასაკმარისი რეგულაციები კერძო სექტორის აქტიურობაზე და უცხოური პირდაპირი ინვესტიციის შემოსვლაზე ახდენს გავლენას.

კორუფცია

კორუმპირებული საჯარო ოფიციალური პირები შესაძლებელია ძალიან დიდი ადმინისტრაციული და ფინანსური დაბრკოლება იყოს ფირმებისათვის. კორუფცია ქმნის არასასურველ ბიზნეს გარემოს, ოპერაციების ეფექტურობის შემცირებით და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და რისკების გაზრდით.

არაეფექტური რეგულაციები ამცირებს ფირმის ეფექტურობას, რადგანაც ისინი ქმნიან ქრთამების მოთხოვნის შესაძლებლობას, ფირმებს მოეთხოვებათ გადაუხადონ „არაოფიციალური“ გასადახადები საჯარო ოფიციალურ პირებს გარკვეული საქმის შესასრულებლად. ბევრ ქვეყანაში ქრთამები გავრცელებული და საკმაოდ მაღალია და ისინი ემატება ბიუროკრატიულ გადასახადებს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების მოპოვებისას. "არაოფიციალური" გადასახადები შეიძლება სერიოზული დაბრკოლება გახდეს ფირმის ზრდისა და განვითარებისათვის.

გრაფიკი 19 წარმოადგენს კორუფციის ინდექსის შემადგენელ ნაწილს, ქრთამის შემთხვევას, რომელიც ასახავს იმ ფირმების პროცენტულ მაჩვენებელს რომლებსაც გამოუცდიათ სულ მცირე ერთი ქრთამის გადახდის მოთხოვნის შემთხვევა, 6 სხვადასხვა ტრანზაქციის დროს, რომელიც მოიცავს გადასახადების გადახდას, უფლებების ან ლიცენზიების და კომუნალური კავშირების მოპოვებას.

საწარმოების კვლევაში შესულია ინდივიდუალური ტრანზაქციები, სადაც ქრთამის მოთხოვნას შეიძლება ჰქონდეს ადგილი. გრაფიკი 20 გვიჩვენებს თუ რამდენად მოეთხოვებათ ფირმებს ქრთამის გადახდა საჯარო სერვისების მოსაპოვებლად. ბიზნესებს შეიძლება მოსთხოვონ ქრთამის გადახდა მშენებლობის ნებართვის, სახელმწიფო კონტრაქტის მოპოვების მიზნით ან საგადასახადოს ხელძღვანელ პირებთან შესახვედრად. ტრანზაქციების ეს სამი ტიპი არის ყველაზე გავრცელებული სამი შემთხვევა, სადაც შეიძლება გაჩნდეს ქრთამის პრობლემა.

გრაფიკი 19: ქრთამის შემთხვევები (ფირმების %, რომელთაც სულ მცირე ერთხელ ჰქონდათ ქრთამის გადახდის შეთავაზება)



გრაფიკი 20: ფირმების %, რომელთაგანაც მოელიან, რომ გასცემენ არაფორმალურ თანხებს ან საჩუქრებს



ბიზნეს გარემოს დაბრკოლებები

საწარმოების კვლევაში ინდიკატორების უმეტესობა წარმოშობილია შეკითხვებიდან, რომლებიც

ფირმებს დაესვათ მათი ფაქტიური გამოცდილების შესახებ ბიზნეს გარემოსთან ურთიერთობის კუთხით. მაგ. ,,რამდენი დღე დაგჭირდათ ნებართვის ასაღებად?'' ან ,,რამდენი საათი იყო ბოლოს ელექტროენერგია გათიშული? კვლევაში რამდენიმე შეკითხვა დაესვათ ტოპ მენეჯერებსა და ბიზნესის მფლობელებს თუ რას ფიქრობდნენ ისინი ბიზნეს გარემოს სხვადასხვა ელემენტების მნიშვნელობაზე.

გრაფიკში 21 ნაჩვენებია იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც სპეციფიკურ ბიზნეს გარემოს მიიჩნევენ ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებად. რესპონდენტს ჰკითხეს აერჩია ყველაზე დიდი დაბრკოლება მისი ბიზნესისათვის სიიდან, სადაც მოცემული იყო 15 დაბრკოლება. ცხრილზე ნაჩვენებია 10 ყველაზე გავრცელებული დაბრკოლება.

გრაფიკში 22 ნაჩვენებია ყველაზე გავრცელებული 3 დაბრკოლება მცირე, საშუალო და დიდი ფირმებისათვის. ბევრ ქვეყანაში, დიდი ფირმების მენეჯერების წარმოდგენები/აღქმები განსხვავებულია მცირე და საშუალო ფირმების მენეჯერთა აღმქმებისაგან. ეს დაკავშირებულია ბიზნესის გარემოს დაბრკოლებებზე თავის გართმევის შესაძლებლობასთან: დიდ ფირმებს მეტი შესაძლებლობა აქვთ გაუმკლავდნენ დაბრკოლებებს, თუმცა ამავე დროს ისინი უფრო შესამჩნევები არიან და ბიზნეს გარემოს წარუმატებლობა მათზე პირდაპირ გავლენას ახდენს.

გრაფიკი 21: ათი ყველაზე გავრცელებული ბიზნეს გარემოს შეზღუდვა (ფირმების პროცენტული მაჩვენებელი)



გრაფიკი 22: სამი ყველაზე გავრცელებული ბიზნეს შეზღუდვა ზომის მიხედვით



დანართი

შემდეგი ცხრილი შეიცავს ყველა იმ ინდიკატორის ცვლადებს, რაც გამოყენებულია ქვეყნის პროფილში.

	საქართველო2023				ევროპა & ცენტრალური აზია	ზედა საშუალო შემოსავალი
	ყველა ფირმა	მცირე	საშუალო	დიდი		
ფირმის მახასიათებლები						
დაწესებულების ასაკი (წლები)	11.9	11.2	12.6	15.5	21.0	18.6
ფირმები, სულ მცირე, 10%-იანი უცხოური მფლობელობით	7.5	4.2	12.3	15.2	8.2	6.0
ფირმები, სულ მცირე, 10%-იანი სახელმწიფო წილით/მფლობელობით	0.0	0.0	0.0	0.4	0.6	0.5
სქესი						
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, სადაც წილის მფლობელები ქალები არიან	29.5	28.7	29.0	39.2	34.9	35.9
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, სადაც ხელმძღვანელობაში ქალები არიან	21.0	23.6	17.1	15.2	18.0	20.6
სრულ განაკვეთზე მომუშავე ქალების წილი (%)	39.4	41.8	36.3	31.1	38.2	37.1
სრულ განაკვეთზე, არაწარმოებაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი*	31.5	30.5	31.5	38.5	48.4	49.2
სრულ განაკვეთზე, წარმოებაში მომუშავე ქალების პროცენტული მაჩვენებელი	36.5	37.2	34.6	45.0	34.7	34.9
მუშახელი						
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ფორმალურ ტრენინგს/მომზადებას სთავაზობენ	31.4	23.5	40.9	60.7	36.5	32.1
დაქირავებული მუშახელის წილი, რომელთაც ფორმალურ ტრენინგს სთავაზობენ (%)*	59.6	79.8	42.9	60.1	45.9	52.9
მაღალ მენეჯერულ თანამდებობაზე მუშობის წლების რაოდენობა ფირმების სექტორში	17.3	16.4	19.1	17.6	21.3	19.7
მუშახელის რაოდენობა	32.0	10.0	35.1	238.0	30.3	35.4
მუდმივი თანამშრომლების წილი (თანამშრომელთა საერთო რაოდენობიდან)	96.5	95.9	97.3	99.7	95.8	96.9
დროებითი თანამშრომლების წილი (თანამშრომელთა საერთო რაოდენობიდან)	3.5	4.1	2.7	0.3	4.2	3.1
წარმოების მუშახელის წილი (მუდმივი თანამშრომლების საერთო რაოდენობიდან)*	70.0	68.4	71.4	73.7	70.0	72.5
სპეციალიზირებული მუშახელის წილი (წარმოებაში მომუშავე თანამშრომლების საერთო რაოდენობიდან)*	86.2	91.2	82.1	72.6	78.6	78.4
შესრულება						
რეალური წლიური გაყიდვების ზრდა (%)	12.9	13.1	12.4	13.1	2.7	1.9
წლიური დასაქმების ზრდა (%)	9.3	8.9	11.3	1.5	3.0	3.4
ინოვაცია და ტექნოლოგია						
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ხარჯავენ რეკონსტრუქციაზე და განვითარებაზე	12.9	n.a.	10.8	23.8	19.8	18.3
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც შემოიღეს ახალი პროდუქტი/სერვისი	28.1	24.2	33.7	38.2	36.6	33.8
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა ახალი პროდუქტი/სერვისი ასევე ახალია ძირითად ბაზარზე	69.1	67.0	68.2	85.6	64.1	68.0
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც დანერგეს ინოვაციური პროცესი	16.6	15.0	18.8	20.3	21.5	20.7
ინფრასტრუქტურა						
ერთ ტიპურ თვეში ელექტროენერგიის გათიშვების რაოდენობა	1.4	1.3	1.5	1.1	0.7	2.1
იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ეთიშებათ ელექტროენერგია	42.4	41.8	43.6	41.6	30.2	44.5
ელექტრო კავშირის აღსადგენად საჭირო დღეების რაოდენობა (განაცხადის შემდეგ)	41.2	41.8	36.9	48.2	41.3	38.8
წყლის მიწოდების დაგვიანება (დღეები)	25.0	23.6	15.3	64.1	30.6	26.0

	საქართველო2023				ევროპა & ცენტრალური აზია	ზედა საშუალო შემოსავალი
	ყველა ფირმა	მცირე	საშუალო	დიდი		
ვაჭრობა						
დღეების რაოდენობა, რაც საჭიროა ექსპორტის გასაფორმებლად საბაჟოზე	3.9	5.7	3.6	2.2	4.5	6.0
ფირმების პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც ექსპორტზე პირდაპირ გააქვთ საქონელი (სულ მცირე, გაყიდვების 10%)	10.9	8.7	14.3	15.5	17.9	11.0
იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც პირდაპირ ან არაპირდაპირ გააქვთ ექსპორტზე (სულ მცირე, გაყიდვების 10%)	14.8	10.8	21.8	17.9	22.6	14.7
დღეების რაოდენობა, რაც საჭიროა საბაჟოზე იმპორტის გასაფორმებლად*	7.2	6.0	7.4	13.0	6.3	11.4
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც მასალებს და/ან უცხოური წარმოშობის მარაგებს იყენებენ*	76.4	78.6	72.4	85.9	70.4	60.1
ფინანსები						
იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც აქვთ მიმდინარე ან შემნახველი ანგარიში	98.8	98.9	98.3	100.0	94.5	91.5
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც იყენებენ ბანკებს ინვესტიციების დასაფინანსებლად	35.3	36.3	33.0	39.6	27.6	30.5
ინვესტიციების წილი, რომელიც შიდა რესურსებით ფინანსდება (%)	68.6	65.5	72.0	69.0	73.3	69.2
ინვესტიციების წილი, რომელიც ბანკების მიერ ფინანსდება (%)	23.5	26.7	20.2	22.2	15.8	17.6
ინვესტიციების წილი, რომელიც მიმწოდებლის კრედიტით ფინანსდება (%)	4.5	6.1	1.9	8.0	3.9	5.4
იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც იყენებს მიმწოდებლის/მომხმარებლის კრედიტს საოპერაციო კაპიტალის დასაფინანსებლად	13.6	12.9	11.3	31.1	22.3	28.4
ინვესტიციების წილი, რომელიც ფინანსდება სააქციო კაპიტალიდან ან აქციების გაყიდვებიდან (%)	2.4	0.5	5.1	0.4	3.7	5.0
მართვის პრაქტიკები						
მართვის პრაქტიკების ინდექსი	50.1	n.a.	47.9	57.5	50.6	49.4
ქმედების ქულა, როდესაც პრობლემა წარმოიშვა	67.6	n.a.	64.7	79.0	72.0	71.7
ქულა მონიტორინგის შესრულების ინდიკატორების რაოდენობისთვის	30.0	n.a.	27.4	42.5	42.7	35.9
ქულა პროდუქციის/მომსახურების მიწოდების მიზნების შესასრულებლად საჭირო დროის შესახებ	47.3	n.a.	45.7	55.1	55.9	52.9
ქულა წარმოების/მომსახურების მიწოდების მიზნების მიღწევადობის შესახებ	35.8	n.a.	33.8	44.9	47.4	45.1
ქულა წარმოების/მომსახურების მიწოდების მიზნების ცოდნის შესახებ	26.1	n.a.	24.1	35.8	39.5	31.4
ქულა მენეჯერების საქმიანობის შესრულების ბონუსების შესახებ	54.9	n.a.	54.0	59.0	31.0	38.9
ქულა იმის შესახებ, თუ რამდენად დაწინაურდებიან არა-მენეჯერები საქმიანობისშესრულების მიხედვით	63.3	n.a.	62.8	65.7	63.7	70.4
ქულა იმის შესახებ, თუ რამდენად ხორციელდება არა-მენეჯერების სამუშაოს არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მათი განთავისუფლება ან პოზიციის შეცვლა	42.8	n.a.	38.8	57.9	39.9	37.2
არაფორმალურობა						
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც კონკურენციას უწევენ დაურეგისტრირებელ ან არაფორმალურ ფირმებს	37.9	41.3	34.1	22.4	31.9	46.9

	საქართველო2023				ევროპა & ცენტრალური აზია	ზედა საშუალო შემოსავალი
	ყველა ფირმა	მცირე	საშუალო	დიდი		
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ფორმალურად დარეგისტრირებულნი იყვნენ, როცა ბიზნესი დაიწყეს ქვეყანაში	97.2	97.0	97.1	99.6	96.0	89.9
რეგულაციები და გადასახადები						
ხელმძღვანელობის მიერ დახარჯული დრო სამთავრობო რეგულაციის მოთხოვნების შესრულებაზე (%)	3.1	2.9	3.2	4.1	9.0	7.7
იმ ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, სადაც განხორციელდა ვიზიტები და მოეთხოვათ საგადასახადოს წარმომადგნლებთან შეხვედრა	19.6	18.6	21.7	18.4	33.3	41.7
იმპორტის ლიცენზიის მოსაპოვებლად საჭირო დღეების რაოდენობა	5.8	n.a.	5.0	n.a.	16.2	19.5
მშენებლობასთან დაკავშირებული ნებართვის მოპოვებისათვის საჭირო დღეების რაოდენობა	45.1	44.3	40.9	70.6	91.8	60.2
საოპერაციო ლიცენზიის მოსაპოვებლად საჭირო დღეები	7.2	n.a.	n.a.	n.a.	39.1	29.5
კორუფცია						
ქრთამის აღებასთან დაკავშირებული შემთხვევა (ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც ქრთამის მოთხოვნის სულ მცირე ერთი შემთხვევა ჰქონდათ)	1.0	0.1	2.5	0.4	7.5	11.3
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაგანაც მოელიან საჩუქრების გაცემას მშენებლობის ნებართვის ასაღებად	2.4	0.2	5.8	0.0	9.1	12.7
ფირმების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაგანაც მოელიან საჩუქრების გაცემას საგადასახადოს თანამშრომლებთან შეხვედრებზე	0.0	0.0	0.0	0.0	6.4	9.8
ყველაზე დიდი დაბრკოლება						
წვდომა ფინანსებზე	16.5	16.7	17.7	8.8	9.2	14.0
წვდომა მიწის ნაკვეთზე	2.1	2.3	1.5	3.3	1.7	2.3
ბიზნეს ლიცენზიები და ნებართვები	2.3	3.4	0.4	1.5	2.7	3.8
კორუფცია	3.1	4.5	0.6	2.8	3.8	7.9
სასამართლოები	1.5	0.9	2.9	0.0	1.2	1.6
დანაშაული, ქურდობა და წესრიგის დარღვევა	4.1	4.7	2.3	7.2	1.7	3.3
საბაჟო და სავაჭრო რეგულაციები	0.0	0.0	0.1	0.0	2.5	3.1
ელექტროობა	7.0	8.0	6.1	1.3	3.6	7.0
არაადეკვატურად განათლებული მუშახელი	22.5	20.4	25.8	25.6	19.9	9.3
შრომითი რეგულაციები	0.3	0.0	0.0	4.6	5.3	2.8
პოლიტიკურად არასტაბილური ვითარება	28.1	28.6	25.1	39.2	8.9	13.0
არაფორმალური სექტორის პრაქტიკა	4.6	4.7	5.1	0.7	11.6	13.8
საგადასახადო ადმინისტრაცია	0.4	0.0	1.2	0.0	4.5	2.7
საგადასახადო განაკვეთები	5.9	3.9	10.3	3.8	18.6	11.5
ტრანსპორტირება	1.5	1.9	1.0	1.2	4.7	3.8

* ეს ინდიკატორები დათვლილია მხოლოდ საწარმო სექტორების

1. თითოეული ეკონომიკის შერჩევის სტრატიფიკაცია განხორციელდა სფეროს, ფირმის ზომისა და გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით. სტრატიფიკაციის დეტალურობის დონე ინდუსტრიების მიხედვით დამოკიდებულია ქვეყნის ზომაზე. სტრატიფიკაცია ზომის მიხედვით ეფუძნება ტექსტში მოცემულ სამ ზომას: მცირე, საშუალო და დიდი. რეგიონალური სტრატიფიკაცია მოიცავს ძირითად ეკონომიკურ რეგიონებს თითოეულ ეკონომიკაში. ამ მეთოდოლოგიით, შესაძლებელია სხვადასხვა სტრატიფიკაციებისათვის გათვლების გაკეთება ცალკე, თუმცა, ამავე დროს, შესაძლებელია დასკვნების გაკეთება მთლიანად არასასოფლო მეურნეობის კერძო ეკონომიკისთვის. შერჩევის სტრატეგიის შესახებ დამატებითი დეტალები იხილეთ ვებ-გვერდზე www.enterprisesurveys.org.